"ვამტკიცებ"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი ს. მელია

# ღია რეიტინგ ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

2. **ფინანსური მხარდამჭერი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;

3. **ჩატარების დრო და ადგილი**:
   29 მარტი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15

4. **ჩემპიონატი ჩატარდება ღია და ასაკობრივ კატეგორიებში:**

A) **ღია ტურნირი**
B) **8 წლამდე ღია ტურნირი**
C) **10 წლამდე ღია ტურნირი**
D) **12 წლამდე ღია ტურნირი**

ტურნირში მონაწილეობა შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ ყველა მოჭადრაკეს.

5. **ტურნირის** სათამაშო წესები:

ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად. დროის კონტროლი: 5 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით. რეიტინგის დათვლა ელვისებურ ჭადრაკში გადაწყდება მონაწილეთა რეგისტრაციის შემდეგ. ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

6. **რეგისტრაცია:**

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ბმული:

https://forms.gle/ZjLtPWYzvi1JgeYh7

## ტურნირის განრიგი:

| | | |
|---|---|---|
| გახსნა | 25 მარტი | 17:00 სთ. |
| I ტური | 25 მარტი | 17:10 სთ. |
| II ტური | 25 მარტი | 17:30 სთ. |
| III ტური | 25 მარტი | 17:50 სთ. |
| IV ტური | 25 მარტი | 18:10 სთ. |
| V ტური | 25 მარტი | 18:30 სთ. |
| VI ტური | 25 მარტი | 18:50 სთ. |
| VII ტური | 25 მარტი | 19:10 სთ. |
| დახურვა | 25 მარტი | 19:30 სთ. |

**საერთო წესები:**

პარტიაზე დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება საათზე დროის ამოწურვის შემდეგ.

**გამარჯვებულები:**

I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები და 1 საუკეთესო მანდილოსანი დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით, ჩემპიონი აგრეთვე თასით.

ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცემა ფასიანი საჩუქარი.

**ტურნირის დირექტორი - საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია**